№ 843 ოთხშაბათი, 16 ივნისი 1896–1899 ოთხშაბათი, 16 ივნისი № 843

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილი-10–3 საათამდე და საღამოს 6–7 „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.

ხელ-მოუწერელ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირით-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე. ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ. თითო ნომერი 3 კაპიკი.

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели“ Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства. Телефонъ № 339

წლის დამლევამდე გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ეღირება 3 მან. 50 კაპ.

## რედაქციისაგან

ექსპედიციის უთავბოლობით ზოგიერთს ჩვენს ხელის-მომწერლებს გაზეთი დროზე ვერ მიუღიათ. ჩვენ ვეცდებით დღეიდან აღარ განმეორდეს ეს სამწუხარო უყურადღებობა. (3–1)

!!მგზავრთა საყურადღებოდ!!

ახლად გახსნილი ქართველ მგზავრთათვის

მორთული ოთახები „აზაშა“

ტფილისში მეორე მაღაზინის ქუჩაზე, მჭედლიძის სახლებში

ეს მორთული ოთახები მართლაც და მომარჯვებულს და მოხერხებულს ადგილას არის მგზავრებისათვის; ტფილისის ვოგზალის მახლობლად და სწორედ კარებზე უდგის ვაგზალის კონკა.

ოთახები საგანგებოდ და საუცხოოდ არის მორთული და თან სუფთა, წმინდა და სინათლიანი. მოსამსახურე თავაზიანი და მარდი.

ფასი სამაგალითოდ იაფია

50 კაპიკიდან 1 მან. 50 კაპიკ. დღეში თვეობით უფრო იაფი.

დავშთები მარად პატივცემული ნიკო თოფურია. (10–5)

!!მგზავრთა საყურადღებოდ!!

!!მგზავრთა საყურადღებოდ!!

სამკურნალო და ამბულატორია ს. ბ. თოფურიასი ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვებისა, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი, კალამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს ფ.

ქ. ზმირატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით მკურნალობისათვის და მასაჟის თვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია

Лѣчебница С. В. Топуріа въ Кутаисѣ

კვირას, 20 თიბათვეს, საღამოს 8 საათზე სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია მეორედ საგანგებო საზოგადო კრება ქართველთა სააღებ მიმცემი ამხანაგობის „შუამავლისა“

კრებამ უნდა აირჩიოს ახალი თავმჯდომარე გამგეობისა ნაცვლად აღნიაშვილსა, რომელიც თავს ანებებს ამ თანამდებობას.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.

## ახალი ამბავი

*** მთავარ-მართებლის გამგზავრება. გუშინ დილის 8 საათზე მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი გაემგზავრა ტფილისიდან სამხედრო გზით მადნის წყლებზე ესენტუკში, საიდანაც მათი ბრწყინვალება აგვისტოს შუა რიცხვებში ჩამობრძანდება.

*** ელექტრონის რკინის გზა მთაწმინდაზე. ბ-ნ რობის თხოვნა მიუცია ქალაქის გამგეობისათვის ნება დამრთეთ ჩემის ხარჯით ავაშენო ელექტრონის რკინის გზა მთაწმინდაზე მამადავითის მოედნიდანაო. ამ გზითვე ვისარგებლებ 45 წელს და მერე ყოველივე ქალაქს დავუთმობ უსასყიდლოთო, ხოლო მამა-დავითის მთაზე შეიძლება გაშენდეს მშვენიერი ხეხილი და საზოგადო საცხოვრო სააგარაკო ადგილი იქნება და სხვა. უნდა ვიმედოვნოთ, რომ ქალაქის გამგეობა სიამოვნებით მიიღებს რობის წინადადებას, რადგან კავკასიის უმაღლეს მთავრობას უკვე ნება მიუცია მისთვის.

*** ელექტრონის გზა კოჯრამდე. იმავე ბ-ნ რობის წინადადება მიუცია ქალაქის გამგეობისათვის, თუ რკინის გზა გავიყვანე მთაწმინდის მთაზე, მაშინ ადვილია, რომ იქიდან კოჯრამდეც გავიდეს რკინის გზაო.

*** ს. კიწია. (სამეგრელო) ქურდობის გახშირება. დადგა თუ არა გაზაფხული (ე. ი. როცა შინაურ საქონელს მინდორში გამოუშვებენ ხოლმე საბალახოდ) ქურდ ბაცაცებმა, თითქოს ახლა გამოიღვიძეს ღამის ძილისაგან მიჰყვეს ხელი თავიანთ სამარცხვინო ხელობას. ამ ნაალდგომევს აქაურ საზოგადოებაში 15-მდის სული საქონელი დაკარგულა მაშინ, როდესაც მთელი ერთი თუ ორი წლის განმავლობაში აქეთკენ არა დაკარგულა რა, კიდევ კარგი, რომ იმისთანას ჰპარავენ, რომელსაც ამ საქონლის დაკარგვით არა დააკლდებოდეს-რა, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ იმისთანას ჰპარავენ, რომლისათვისაც ცხოვრების სახსრად იყო მარტო ეს საქონელი. ამით იმას კი არ ვლაპარაკობ, რომ მდიდარს, რომ მოჰპარონ რამე კარგი იყოს, არამედ იმას, რომ საწყალ გლეხკაცს რაღაც ერთი სული საქონელი ჰყავს და იმით საზრდოობს იგი და ამას რომ მოჰპარონ, სჯობია კიდევ მაინც და მაინც მდიდარს მოჰპარონ. ზუგდიდის მაზრას უწინ ძლიერ განთქმული ჰქონდა სახელი ქურდობაში, ეხლა კი ზუგდიდის მაზრამ სენაკის მაზრას გარდაულოცა ქურდობა და ავკაცობა, თითქოს „ალავერდი“ დაუძახეს და მათ „იახშიოლ“ მიუგესო. ზუგდიდის მაზრაში ქურდობა სრულიად მოსპობილია, ხოლო სენაკის მაზრაში ძლიერ გახშირებულია, ამიტომ სასურველია სენაკის მაზრის მთავრობა-მმართებლობა ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდეს და მით მთელ სამეგრელოში მოისპობოდეს ქურდობა.

გურულ-მეგრელი.

*** ი. ბოდბის ხევი. (ქიზიყი) ჭარსახულის სამცარე. ყოველს მომავალს იმდენათ შევხარით, ან ახლა გაგვიღიმებს ბედი მინდვრის და ვენახების მოსავლით უხვად დაგვაჯილდოვებს და ან ეხლაო. მაგრამ ჩვენი იმედი რჩება მხოლოდ იმედათ, და სიუხვის მაგიერ უფრო უკან-უკან მიდის ასე, რომ შემდეგ წლებში იქნება თესლსაც ვეღარ გამოვარჩიეთ ხოლმე. მხოლოდ რითი აიხსნება ეს, ამას შემდეგი მაგალითი გვაჩვენებს: ჯერ არის, რომ ჩვენს მინდვრებში სარწყავი წყლები არაა, რომ გვალვიანს წელიწადში წყლის საშუალებით მაინც მოიყვანოს კაცმა ჰირნახული.

— მაწის სავიწროვე მეორეც ესაა, ისე შეგვავიწროვეს მამა-პაპით დატოვებული ვრცელი მინდვრები, რომ ვეღარც კი ვთავსდებით ასე, რომ კომლზედ თითო

—როლი დღისა ძლივსღა შეგვხვდება და რა თქმა უნდა, ამ მინდვრის სივიწროვის გამო ყოველ წელიწადს უნდა მოხნას კაცმა ერთი და იგივე მიწა, რომელიც ისე გაცვდა და გამოელია ღონე, რომ თუნდა ამინდმაც ხელი შეუწყოს, მაინც რიგიანა მოსავალს აღარ იძლევა. ნუ თუ იმიტომ იღვწოდა ჩვენი მამა-პაპა, მტერს კრიჭაში ედგა აღმოსავლეთით ინგილოებს, დასავლეთით და სამხრეთით თათრებს, სისხლით რწყავდნენ და ძვლებით კენჭავდნენ იქაურობას, რომ მზა-მზარეულზედ იმათი შვილების მაგივრად სხვებმა გაიხარონ? ეჰ, სადაა პატრონი.

— **საბალახო ადგილების საქმე.** ჯერ იყო, როდესაც ყველა დამშვიდდა, მტერი უკან მიდგა, მაშინ, თუშებმა დაუწყეს ჩვენს ხალხს ხვეწნა, ნება მოგვეცით ზამთრობით ცხვრის დაყენებისა და საბალახეს გადავიხდითო! ხალხმა ნება დართო. რამდენიმე ხნის შემდეგ ხმა გავრცელდა, საბალახო შირაქ თუშებს დარჩათო. ეს როგორ მოხდა ვერავინ გაიგო... მხოლოდ ზოგიერთები ამბობენ ეხლა: სოფლის მყლაპავ ბმა ჩუმათ გადასცესო. და რა თქმა უნდა, აქ პატარა ღმერთი იქნებოდა შუამავალი. მეორე მინდორი, ეგრედ წოდებული მილარი, თითქმის ნახევარი ამ მინდვრის აქამდის სოფროვს ეჭირა იჯარით ხაზინისგან.

— შეცდომა. 1897 წელს გამოგვიცხადდა ხსენებული მინდორი საფაროვს ჩამოერთმევო, და ვაჭრობით გაიცემაო! ამ ამბავზედ დაფაცურდა ჩვენი სოფლის მამასახლისი ბ-ნი დავით ხოსიტაშვილი. დაფაცურდნენ თუშებიც. ჩვენი და თუშების ერთმანეთის კამათში, ისევ თავი ამოჰყო თელავიდგან მოსულმა ერთმა „კულტუროსანმა“, და ჩვენ კი დავრჩით ხახა მშრალნი. საკვირველია, რომ სამწუხარო არ იყოს, ჩვენ მიმშილით ვიხოცებით ეს ათას კომლზედ მეტი მცხოვრები მინდვრის სივიწროვით, და ხვნის დროს ერთმანეთს თავპირს ვამტვრევთ, არა მე უნდა მოვხნა მეტი და არა მეო! რომელიც კინაღამ მსხვერპლი გახდნენ ამ გვარი ჩხუბისა ამ ორი წლის წინათ ძმები, კოტე და კოლა ცაბუტაშვილები, რომელნიც თავებ დახეთქილები ურმით მოიყვანეს სახლში. და იქ კი, იმოდენა მინდვრით ერთი საიდამღაც მოსული „კულტუროსანი“ სუქდება. აი ამიტომაა, რომ წრეულს თითქმის ოთხი თვის სამყოფი საზრდო არ მოგვივა. ჯერეთ უამინდობის გამო კარგი ყანები არ მოვიდა ალაგ-ალაგ მოსცდა, და რაც მოვიდა ისიც, გამოფიტულმა მიწამ ვერ ასაზრდოვა. ეს ერთი მინდორი მაინც რომ დაგვრჩომოდა, ესე იგი მილარი, რომელიც ამ ჟამად სომეხს უჭირავს, მაშინ შეგვეძლებოდა ყოველ ოთხი წლის შემდეგ დასვენებული მიწის მოხვნა ასე, რომ გასაყიდი თუ არა, სამყოფი პური მაინც მოგვივიდოდა. მაგრამ სადაა ჩვენთვის პატრონი, რომ ეს ჩვენი ვაჭირვება აუწყოს სადაც ჯერ არს.

ირადიონ ოქროაშვილი.

# თეატრის მატიანე

—

ქართული წარმოდგენა ნაკიტინას ცირკში. ესეც ქართული წარმოდგენა. კვირას 13 ივნისს გამართული იყო „ქორ-ოღლი“ ანტონოვისა სცენის მოყვარეთა ამხანაგობისაგან ნიკიტინის ცირკში. ძალიან გახშირდა სცენის მოყვარეთა წარმოდგენები ვითომდა საქველ-მოქმედო მიზნით... მაგრამ ამას ვინღა ჩივის, წარმოდგენებს რომ ხეირიანად მართავდნენ და პირ-იქით ხალხს გულს არ უცრუებდნენ წარმოდგენებზედ (ჩვენ აქ არა გვაქვს სახეში ავჭალის ხალხური წარმოდგენები) ეს ვაჟბატონები ფიქრობენ, რადგან სახალხო წარმოდგენას ვმართავთ, შეგვიძლიან როგორც გვსურს ისე ვითამაშოთ. ვინც გვინდა ის. გამოვიყვანოთ და გამოვუშვათ სცენაზედო. წარმოდგენები იმისთვის არის მოგონილი, რომ მაყურებელმა შიგ დაინახოს ცხოვრების ვითარება, მისი დახლართული ეკლიანი გზანი და [illegible] მიმავალი კაცობრიობა და [illegible] ქადან მან სასარგებლო და ჭკუის სასწავლი მაგალითები გადმოიტანოს. სცენა სარკეა ცხოვრების ავ-კარგისა და აი ამ დიად საქმეს ესენი მასხრულად ეკიდებიან და თავის შესაქცევარ საგნად გაუხდიათ ვიღაც უსაქმურებს.

სათეატრო დარბაზში შესვლისთანავე შევატყობდით სრულს უწეს-რიგობას, დაუდევრობას, რომელიც შედეგი იყო იმისა, რომ ყველა, ვინც-კი უბრალოდ მაინც გამოდიოდა სცენაზედ, იყო რეჟისორიც, გამგეც და ადმინისტრატორიც. წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როდესაც მითხრეს, რომ პიესის გმირის, ქორ-ოღლის როლის მოთამაშეს ეხლა დაეძებენო, თურმე ნუ იტყვით, მჭედლიშვილი ტყუილად ყოფილა გამოცხადებული. რა უნდა ეთამაშნა ეხლა იმ კაცს, რომელიც ფარდის ახდის დროს იშოვეს და ან კი რა მოეთხოვებოდა და კიდევაც ასე მოხდა. გამოვიდა თუ არა სცენაზედ იმდენად შევიწროვდა, რომ ძლივს ძლივობით მოახერხა ორიოდე სიტყვის თქმა, და ხალხში სიცილი გამოიწვია. არც მიმოხვრა, არც თავის დაჭერა და არც ლაპარაკი გმირისას არაფერს მოგაგონებდა, ნამეტურ შესაცოდავებელ მდგომარეობაში იყო, როდესაც გულნარას სიყვარულს უც…

## ახალი ცნობა ქართველ კათოლიკეთ რომის ტიბიკონის შესახებ.

გორის ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიაში ჰგიებს ყოვლად საინტერესო წიგნი ორასი წლის, რომელიც დღევანდლამდისინ დავიწყებულ იყო ცნობის მოყვარეთაგან; ზოგიერთნი ისტორიკოსნი უწყოდნენ, რომ ტფილისის ქალაქში დაწესებული იყო ლათინთ ტიბიკონის კათედრა, ესე იგი საეპისკოპოზო ტახტი შემდეგი ბულით:

„პაპი იოვანე XXII თავის საყვარელ შვილს იოვანე ფლორენტიელს აღმორჩეულს ეპისკოპოზს ტფილისასა: — როგორც წარსულში გავრცელებულა ქრისტეს სარწმუნოება, ისე ახლა ღვთიური წმინდა სახელის პატივისცემის მოსამატებლად, გამოძიებით სხვა და სხვა ჯეროვნის მიზეზების, ძმებისაგან მეკვლიანებულთა, ბოლოს გარდავსწყვიტეთ ჩვენის სამოციქულო შეძლებით, რომ დაწესებულიყო ჩინებულს ტფილისის ქალაქში საეპისკოპოზო კათედრის ადგილი, რომელიც იმყოფება საქართველოს სამეფოში. ვინებეთ, რომ ეს ტფილისი მომავალში მუდამ საეპისკოპოზო ქალაქად დარჩეს ჩვენის სრულის შეძლებით და ჩვენის ძმების შეკითხვითა, როგორც ზემოთ ვსთქვით, დამტკიცებით განვსაზღვრეთ, რომ დაარსდეს ტფილისის ქალაქს საეპისკოპოზო ეკკლესია, და მიეცეს მას ღირსეული ტიტული ტფილისის ეპისკოპოზისა. კვლავ ჩვენ თვალთ თქვენკენ მოვაქცევთ, რომელიც განწესებულხართ მასწავლებლად, მოქადაგე ძმათა რიგისაგან, მეცნიერი წმინდა წერილებით, რომელთაც იცნობთ თქვენ პიროვნულად მაგ ადგილების გარემოებათა და საჭიროებათა, რომ მრავალნი მოაქციეთ ღვთიური სიტყვის ქადაგებით და შესძინეთ იესო ქრისტესა, გაქვს კეთილი შური წმინდა სარწმუნოებისა, წმინდა ცხოვრება, კეთილი ყოფა-ქცევა და სიბრძნე სავსე მრავალნაირ სათნოებითა, როგორც შეტყობილი გვაქვს სარწმუნო მოწმისაგან, რომელნიც გრაცხვენ შემძლე ღირსეულ პირად, მით სრულის სამოციქულო შეძლებითა ჩვენითა და შეკითხვით ჩვენი ძმებისა გადგენთ ზემოხსენებულს ტფილისის ეკკლესიისას ზედა ეპისკოპოზისა გამოძიებისა და ყოვლისფრის განხილვის შემდგომ“.

პაპი იოვანე XXII.

მიეცა ავინონს 1329. XIV ნოემბერს.

ამა ტფილისის ტახტზე დანიშნულ იყვნენ რომიდან შვიდი მღვდელთ მთავარნი ვიდრე 1499, ხოლო ამ უკანასკნელ წლის შემდეგ აღარ იწყოდნენ, უკეთუ შემდეგ მათი ყოფილა საქართველოში რომელიმე ლათინთა ეპისკოპოზი რომის ქართველ კათოლიკეთა ტიბიკონის მრევლის მმართველად: ამ საინტერესო და უძველეს წიგნში, რომელიც არს დაწერილი ლათინურს ენაზე და ზოგან ქართულ ენაზედაც, სწერია ესე შემდეგი: (იხილე ფურცელი 137), წიგნი მირონის ცხებისა.

„1745 მაისის 11, რომელიც იყო დღე კვირიაკე გორის კათოლიკეთ ახალ აღმაშენებელ ეკკლესიაში წმიდა სილივესტრისა და წმ. გიორგისა, მე ფილიპე ეპისკოპოზმა მირონი ვსცხე კატარინე შვილ გიორგისა, მარიამს, ანნას, თინათინას, თამარას და სხვა“.

აგრეთვე იმავე დღეს იმავე ეკკლესიაში მრავალგვარის კათოლიკეთა მრევლს მიუღია მისი მეუფების მიერ მირონის ცხება. ზემოხსენებული ეკკლესია, წმ. სილივესტრასი და წმ. გიორგის დღეს არს მართლმადიდებელთა ხელთ, 1755 ბრძანებითა თეიმურაზ მეფისა, რომელმაც განდევნა ქართლიდან კათოლიკეთა მისიონერნი. ეკკლესია და ბერმონაზონთა სამყოფი სახლი, ბრძანებითა იმავე მეფისა კირილე ეპისკოპოზი წარვიდა გორში, რომლის მღვდელთ-მთავრათ ითვლებოდა, ეწირა ამ მისიონერების ეკკლესიაში და საცხოვრებლად მისა ყოფილიყო მათივე მონასტერი *). ეკკლესია ესე ჰგიებს დღესაც, რომელიც ითვლება ტაძრად და სახლი მისიონერთა სიძველის გამო დანგრეულ იქმნა და იმავე ალაგას აღშენდა სამრევლო სასწავლებელი.

ამავე წიგნში სწერია (ფურცელი 10) 1767 წ. მისიონრები მოწოდებული იქმნენ ერეკლე მეფისაგან და პატრი გიორგი თაურინელი მოსულა გორში 14 მარტს და დაუწყვია შველა თავისი სამრევლოის. ამ წართმეულ ეკკლესიის მაგიერ მეფე ერეკლემ უბოძა გორის მისიონერთა ახალი ალაგი აღსაგებლად ახალი ეკკლესიისა, რომელიც დაიწყო და აღაშენა დაუღალავ მუშაკმა პატრი მარიუსმა, რომელიც იყო ყოვლად კეთილ სიწმიდით ეგრეთვე სწავლით და განათლებით. პატრი მარიუსი მიიცვალა 79 წლის, 1823, იანვრის 23 და დასაფლავებული იქმნა ახლორეს თვის მიერ აღშენებული საკურთხევლის წინაშე. იყავ დაუვიწყარ გორის კათოლიკეთა მრევლთა მიერ სახლი შენი ჰოი მამაო პატრი მარიუს!!!

მოძ. გაბრიელ ასლანიშვილი.

*) იხილე საქართველოს საეკკლესიო გუჯრები დიმიტრი ფურცელაძისა, ფურცელი 51.

ხადებს. ბ. შველიძე კი უფრო
მეოხუნჯე მხიარულ მიკიტანს მო-
გვაგონებდა ვინემ თავ-განწირულ
გმირს და მეგობრისათვის თავ-და-
დებულს დემურჩოლლის. ჯაფარ-
ფაშის როლს თამაშობდა ბ. ხოს-
როევი, მას არაფერი უნარი არ
გამოუჩენია როლის შესრულებაში,
გარდა იმისა, რომ სცდილობდა სა-
ზოგადოება გაეცინებინა. გვარია-
ნად თამაშობდა ქ-ნი რჩეულოვი-
სა, არა უშავდარა აგრეთვე წერე-
თელის და ვაშაკიძის ქალს, თუმცა
უკანასკნელს როლი არ დაესწავ-
ლა. დანარჩენებზედ არც-კი ღირს
ლაპარაკი საით დადიოდნენ და
საით მოდიოდნენ თვით არ იცოდ-
ნენ, ასე გეგონებოდათ ქუჩაში
დაუპერიათ და ძალით შემოუყვა-
ნიათ სცენაზეო. აგრეთვე სრული
უწეს-რიგობა იყო „პარტერში“,
ორ-შაურიანი ბილეთებით ქუჩის
ბიჭები პირველ რიგის სავარძლებ-
ზე ისხდნენ და უდროვო დროს,
უშვერი ყვირილით, უშლიდნენ
მაყურებელთ წარმოდგენის მოსმე-
ნას. გასაკვირველია ღმერთმანი,
ნუ თუ დრო არ არის მიაქციოს
მას ყურადღება ვისიც ჯერ არს
და ამ ნაირად წარმოდგენების
მართვა უღუკრძალოს. ან ბ. ბაქ-
რაძეს ნუ თუ არც თავ-მოყვარეო-
ბა აქვს, არც წინ დახედულება
და ნუ თუ მომავლისაკენ არ
ყურება, რომ იღებს წარმოდგე-
ნების მართვის ნებას და ოინბა-
ზობას მართავენ: ანგრე ხომ გუ-
ლი აუცრუეს ხალხს და შეაზიზ-
ღეს სრულებით ქართული წარ-
მოდგენები!.

ვიმედოვნებ არ დარჩება ეს ჩე-
მი უმორჩილესი მოხსენება ხმად
მღაღადებლისა უდაბნოსა შინა და
მიაქცევს ყურადღებას ვისიც ჯერ
არს. დრო კი არის ღვთის წინაშე!

ახალ-მოზარდი.

## ყურმოკრული საუბარი

ერთს ამერიკელის სახლის დერეფან-
ში ქვაზე ამოჭრილი იყო თურმე სი-
ტყვა „სიმართლე“. გაიარა ერთმა,
რომელსაც ის იყო მართალი საქმე
წააგო სასამართლოში, შეამჩნია ქვაზე
ეს წარწერა, დიდის მოწიწებით მოი-
ხადა ქუდი და სთქვა:

— მე დიდი ხანია გავიგე, რომ სი-
მართლე მოკვდა, მაგრამ დღემდის ის
კი არ ვიცოდი, სად იყო დასაფლავე-
ბულიო.

## რჩეული აზრები

✦ შრომა სისხლის უკვდავებაა,
წყაროა სიცოცხლის წყაროა.

✦ უბედურობა ხშირად ის მეგობა-
რია, რომელიც ყოველ სიკეთეს გირ-
ჩევს ხოლმე.

✦ წინდახედული იჭვიანობა გონე-
ბის დამპარია.

✦ ჭეშმარიტ წინასწარმეტყველთ ხანდახან ჰყავთ ხოლმე გულმოდგინე თაყვანისმცემელნი, ცრუ წინასწარმეტყველთ კი ყოველთვის.

✦ ლოცვასა უნდა იტყოდეს არა მარტო ბაგენი შენი, არამედ ყოველი აზრი და ფიქრი.

## სამეურნეო ცნობა

მცენარეთა მეტყველება (ბოტანიკა)
(შემდეგი *)

ალფავიტის რიგზედ ვარდის სახელება, რომლებიც გამოსადეგნა არიან ადრეულა გამრავლებისათვის
(для ранней выгонки).

| № | გარდების სახელები. | წელიწადი მოშენებისა. | თვე ყვავილისა. |
|---|---|---|---|
| 1 | ტ. ა. ბუგე . . . | 1873 | იან. |
| 2 | რ. აბბე ბრამელტელ. | 1872 | აპრ. |
| 3 | აბელ კარიერ . . . | 1875 | „ |
| 4 | რ. აშილ გიუნო . . | 1865 | მარ |
| 5 | რ. ადელინა პატტი . | 1869 | „ |
| 6 | ტ. ადამ . : . . | 1838 | თებ. |
| 7 | ტ. ადრიენნხრისტოფოლ. | 1868 | „ |
| 8 | ტ. ალბა როზეა . . | 1863 | იან |
| 9 | ტ. ალფონს კარ . . | 1378 | მარ. |
| 10 | რ. ალფონს სუპერტ. | 1876 | მაის. |
| 11 | ტ. ამაბილის . . . | 1871 | „ |
| 12 | ტ. ამაცონა . . . | 1867 | აპრ |
| 13 | ტ. აბროაზ პარე. . | 1870 | მარ. |
| 14 | რ. ამერიკა ბიუტი . | 1879 | თებ |
| 15 | ტ. ანდრე შვარც. . | — | მარ. |
| 16 | ტ. ანნა ოლივიე . . | 1873 | „ |
| 17 | რ. ანნა დე დისბახ . | 1858 | „ |
| 18 | რ. ანნა ალექსეევა . | 1858 | იან. |
| 19 | რ. ანნა ბუდ . . . | 1867 | აპრ |
| 20 | ტ. ანნეტა სო . . | 1870 | „ |
| 21 | ტ. ანტეროზ. . . . | 1869 | „ |
| 22 | რ. ოგიუსტ მი . . | 1851 | „ |
| 23 | რ. ბარონ ბონტეტტენ. | 1872 | „ |
| 24 | რ. ბარონ დე როტშ. | 1875 | აპრ. |
| 25 | რ. ბარონ ლორეი . | 1856 | მარ. |
| 26 | ბ. ბერტა ლევეკ . . | 1867 | „ |
| 27 | რ. ბერსო იმპერიალ . | 1866 | აპრ. |
| 28 | ტ. ბ. ბიუტი ოფ სტეპლეფორდ. . . | 1880 | „ |
| 29 | რ. ბისსონ . . . | 1876 | „ |
| 30 | მ. ბლანშ მორო . . | 1874 | აპრ. |
| 31 | ტ. ბუტონ დ'ორ. . | 1869 | „ |
| 32 | ტ. ბუჯერ . . . | 1865 | „ |
| 33 | ტ. ბურბონ . . . | 1860 | „ |
| 34 | რ. კარლ კურს . . | 1866 | მარ. |

არჩილ დარეჯანაშვილი

(შემდეგი იქნება)

## ოჯახში გამოსადეგი ცნობა

როგორ უნდა საზამთროს შენახვა. საზამთროს ინახავენ ამნაირათ: ბზეს და ნავალს (ნეხვი) ურევენ ერთად და საზამთროს იმაში გაახვევენ, ამ ნაირათ შენახული ბევრს ხანს ვერა სძლებს. მაგალითად 3—4 თვეზე მეტს არ გასძლებს. არის მეორე საშუალებაც: უნდა ავარჩიოთ სქელ კანიანი საზამთრო, რომელსაც ხალი არსად ჰქონდეს, ოთხკუთხივ შეკრით თოკით და ჩამოჰკიდეთ სადმე მაღლა ჭერში, რომ სისველე არსაიდან მოხვდეს; ხოლო იმ ადგილას ჰაერი უნდა მუშაობდეს. ამ ნაირათ შენახული საზამთრო გასძლებს ერთ წლამდის და კიდევ უფრო დიდხანს, ე. ი. ოთხჯერ უფრო მეტს ვიდრე ზემოთ მოყვანილ ბზეში და ნავალში შეხვეულები მე თითონ თქვენმა უმორჩილესმა მონამ ვსცადე ეს საშუალება და შევინახე წასული წლის ენკენისთვიდან და ეხლაც ისეთივე არის როგორც ახლათ ბოსტნიდან მოტანილი, ასე რომ ზოგი ვერც კი შეატყობს ახალია თუ ძველი.

ს. კახათელიძე

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 840.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება სასოფლო მეურნეობის ადგილობრივ დაწესებულებათა შესახებ:

I. რათა ადგილობრივ მზრუნველობა იქონიოს სასოფლო მეურნეობაზედ და გააერთიანონ ყველა ზომები მიწად მოქმედებისა და სასოფლო მრეწველობის შესახებ, დაარსებულ იქ ნას სასოფლო მეურნეობის რწმუნებულთა თანამდებობანი.

II. რათა პირდაპირ ტეხნიკური ზეგავლენა იქონიონ სასოფლო მეურნეობის გაძლიერებაზედ, დაარსებულ იქმნას სასოფლო მეურნეობის ზედმიწევნით მცოდნეთა თანამდებობანი.

III. ხარჯის დასაფარავად, რაიცა რწმუნებულთა შენახვას მოუნდება 20 გუბერნიაში, სადაც მოქმედობს საგუბერნიო და სამაზრო დებულება ერობათა დაწესებულების შესახებ, გადიდვას ყოველ წელს სახელმწიფო ხაზინიდგან 1900 წლის 1 ლ თებერვლიდგან 105.000 მანეთი. 1899 წელს მიეცეს მიწად მოქმედების მინისტრს 50,000 მანეთი. იმდენ რწმუნებულთა შესანახად, რამდენსაც ეს ფული ეყოფა ჯამაგირად.

**პარიზი.** კაბინეტში გენერალ გოლიფეს შესვლის გამო სოციალისტთა წრეში განხეთქილება მოხდა. ამ წრის 15 კაცმა ახალი დასი შეადგინა.

**მადრიდი.** გუშინ გრენადის პროვინციის ორ ქალაქში მანიფესტაცია მოხდა შაქარზე ბაჟის დადების წინააღმდეგ. წესიერება დადგენილ იქმნა.

**პარიზი.** ახალი მინისტრები დღეს პირველად შეიკრიბნენ ელისეს სასახლეში ლუბეს თავმჯდომარეობით და შეიმუშავეს სამინისტრო დეკლარაციის საზოგადო მუხლები, რომელიც ორშაბათს უნდა აუწყონ პალატას. დეკლარაციაში მოხსენებული იქმნება, რომ კაბინეტი შესდგა მომეტებულ ნაწილად იმ განზრახვით, რომ დაიცვას რესპუბლიკის დაწესებულებანიო ვალდეკ-რუსსომ აუწყა კრებას, რომ სალამოიდგან პრეფექტებს ცირკულიარებს დაუგზავნის, რომელშიაც ნათქვამი იქნება, რომ იმათ სრული მიუდგომლობა უნდა გამოიჩინონ პოლიტიკურს საგნებშიო. გალიფემ აცნობა კრებას, გენერლებს ცირკულიარს დაუგზავნის, რომლითაც წინადადებას მისცემ მათ—მოაგონონ ყველა სამხედრო მოხელეთ, რომ დისციპლინა უთუოდ დაიცვანო. გალიფეს წინადადებით საბჭომ გადასწყვიტა გადაყვანილ-გადმოყვანილ იქმნას ზოგიერთი მაღალის თანამდებობის აფიცრები, რომელთაც დისციპლინა დაარღვიეს. დეკრეტი ლეპინის დანიშვნის შესახებ პოლიციის პრეფექტად, ბლანის მაგიერ, რომელიც ინიშნება სახელმწიფო საბჭოს წევრად, რესპუბლიკის პრეზიდენტს წარედგინა ხელმოსაწერად.

**რომი** „სტეფანის სააგენტომ“ გამოაცხადა დღეს მეფის გუშინდელის ბრძანების შინაარსი და აგრეთვე მის საპოლიტიკო ღონისძიებათა შესახებ მოხსენება: 1) კრებათა, 2) საზოგადო კავშირთა, 3) რკინის გზისა, ფოსტისა და განათლების მოსამსახურეთა მიერ მუშაობის აღკვეთისა და 4) დასტამბულ სიტყვისა. ბრძანება ძალაში უნდა შევიდეს 20 ივლისიდგან და პარლამენტში იქმნება შეტანილი, რათა მოიპოვოს ძალა კანონისა.

**გააგა.** სამშვიდობო კონფერენციის პირველი კომისსია შეიკრიბა დღეს და განიხილა მოხსენება ავსტრიის წარმომადგენლის სილტიკისა კომისიამ ვერ შეიძლო შეთანხმება წყლის ქვეშეთის ნაღმიან გემების და სხ. საომრების შესახებ. შემდეგ კომისია შეუდგა გრაფ მურავიოვის საყოველთაო მოწერილობის პირველ პუნქტის განხილვას, რომელიც შეეხება იმას, რომ უწინდელი რიცხვი ხმელეთისა და ზღვის ჯარის არ იქმნას მომატებული განსაზღვრულ ვადის განმავლობაში. ამ საგნის შესახებ წარდგენილია წინადადებანი რუსეთის წარმომადგენლების, პოლკოვნიკის ჟილინსკისა და კაპიტანის შეინისა. კომისია დაიშალა ორშაბათამდე.

**გააგა.** რუსეთის წინადადებანი, წარდგენილნი კონფერენციის პირველს კომისიაში, იმად არ იყო მიმართული, რომ აწინდელი რიცხვი სამხედრო ძალისა და აგრეთვე მის შესახები სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვა არ იყოს გაძლიერებული ხუთის წლის განმავლობა-

ში; ამ განსაზღვრას არ ექვემდებარება სახალხო ჯარი. მესამე კომისიის სარედაქციო კომისიამ, რომელიც ჰსინჯავს სამედიატორო სასამართლოს შემოღების საგანს, დღევანდელს კრებაზედ განიხილა 1—7 მუხლი რუსეთის სამედიატორო სასამართლოს შესახების წინადადებისა. მთელი წინადადება 26 მუხლისაგან შესდგება. ოთხშაბათს უეჭველია კონფერენცია დაიშლება მცირე ხნით, რათა წარმომადგენელთ ვადა მიეცეთ თავიანთ მთავრობათ მოახსენონ საქმეთა მიმდინარეობის ამბავი.

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ.** ვალდეკ-რუსსოს საყოველთაოდ მიწერილობაში პრეფექტთა მიმართ ნათქვამია, რომ სამინისტრომ იკისრა საქმე რესპუბლიკის დაცვისა და ამიტომ დამავალებთ აცნობოთ მას ყოველის საეჭვოს ამბავი, რომელიცკი შეეხება დაწესებულებათა და საზოგადო წესიერების პატივის-ცემას და აგრეთვე, თუ საჭირო იქნება, ჯეროვანი ღონისძიებანიც იღონოთო.

**ᲒᲐᲐᲒᲐ.** საქმეთა ვითარება სამედიატორო სასამართლოს შესახებ განკარგდა. წარმომადგენელთა შორის დიდი იმედი სჩანს, რადგან ეს არის ეხლა მიღებული ცნობანი ბერლინიდგან მორიგების იმედს იძლევა.

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ.** გენერალმა გალიფემ მიჰმართა ჯარის უფროსებს საყოველთაო მიწერილობით, რომელშიაც აცხადებს: „ჩემდა დიდად სამწუხაროდ იძულებულ ვიქმენ უარ მეყო განმარტოებული ცხოვრება, რათა მეკისრა ქვეყნისა და რესპუბლიკის მთავრობის წინაშე პასუხის-მგებლობა ჯარისა. ამითი დიდად თავ მოწონებული ვარ და სრულიადაც არა ვარ შეშფოთებული. გთხოვთ არ დაივიწყოთ, რომ თუ მე ვარ პასუხის მგებელი, თქვენცა ხართ პასუხის მგებელი ჩემს წინაშე ყოველისავე იმისა, რაც თქვენ საუფროსო ჯარში მოხდება. აი ამიტომაც მე თქვენი იმედი მაქვს, როგორც თქვენც შეგიძლიანთ ჩემი იმედი გქონდეთ.

**ᲑᲣᲮᲐᲠᲔᲡᲢᲘ.** საგანგებო სესსია პარლამენტისა დაიწყო. მეფე მობრძანდა მემკვიდრე პრინციტურთ. მეფის მოწერილობაში ნათქვამია, რომ საგანგებო სესსია მოწოდებულია მხოლოდ ყოვლად საჭირო პროექტების გარდასაწყვეტადო. შემდეგ ნათქვამია, რომ ყველა დიდ სახელმწიფოსთან მეგობრული დამოკიდებულება გვაქვსო და საქმე მშვიდობიანობისა მუდმივს საზრუნველს შეადგენს ყველასათვისაო. მეფეს იმედი აქვს, რომ სამშვიდობო კონფერენცია უფრო მეტად უზრუნველ-ჰყოფს მშვიდობიანობასაო. მოწერილობა თანაგრძნობით იქმნა მიღებული.

**ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ.** რუსეთის სამხედრო წარმომადგენლად ნამყოფს პოლკოვნიკს პეშკოვს ებოძა მეჯიდიეს ორდენი პირველის ხარისხისა.

სერბიის ნოტის პასუხად, რომელიც საზღვარზედ მომხდარს ამბავს შეეხებოდა, პორტამ ნოტითვე გასცა პასუხი, რომელშიაც ნათქვამია: ნარევმა კომისიამ შეამოწმა, რომ შეტაკება სერბიელებმა გამოიწვიესო. არც ნიზამთა და არც ალბანელებს საზღვარი არ გადაულახავთ. ნოტა შენიშნავს, რომ სერბიელთა ყველა მოთხოვნილება გასინჯულ იქმნა და საფუძვლიანს სამდურავს ყურადღება მიექცა. საჩივართა უმეტესობა უსაფუძვლოა, როგორც უსაფუძვლოვეა საყვედური კოსსოვის მოხელეთა მიმართ: სერბიას არასოდეს არ გაუწევია დახმარება სასაზღვრო დარაჯთათვის, მან მხოლოდ შეასრულა ნარევ კომისიის დადგენილება უბაჟო საქონლის შესახებაო.

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ** ვალდეკ-რუსსომ უთხრა გაზ. „ჟურნალის“ წარმომადგენელს, რომ ტყუილია ის ხმები, ვითომ გენერლებ ცურლინდენისა, ბუადეფრისა, გონზისა და პელიეს წინააღმდეგ ღონისძიებანი იქნებიან ხმარებულიო. გარტშმიდტი, როჟე და საქსე გადაყვანილ იქმნებიან სხვა ადგილებზედ სამხედრო წესის დარღვევისათვისაო.

მთავარ-ზრალმდებელი ბერტრანი და რესპუბლიკის ბრალმდებელი ფეიოლე დანიშნულნი არიან სხვა თანამდებობაზედ. გენერალი გარტშმიდტი გადაყვანილ იქმნა რეიმსში, პოლკოვნიკი საქსე—პუატიეში. გამოძიება დაწყებული პოდპოლკოვნიკის კუპერტენის წინააღმდეგ.

14 ივნისი

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.** დღეს, ნაშუადღევის პირველს საათზედ, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული განთავისუფლდა ფეხ-მძიმეობისაგან და მიეცა ქალიშვილი, რომელსაც მარია ეწოდა სახელად.


# ᲔᲥᲘᲛᲘ

კ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.

Докторъ **К. М. Чиковани**

Михайлов., № 16.



## ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА ГАЗЕТУ

# „СВѢТЪ“

## СЪ „СПРИЛОЖЕНІЕМЪ РОМАНОВЪ“

съ пересылкою и доставкою:

**На четверть года:**

съ 1 января по 1 апрѣля . . . . . . . . . 2 р.
« 1 апрѣля по 1 іюля . . . . . . . . .
« 1 іюля по 1 октября . . . . . . . . .
« 1 октября по 31 декабря . . . . . . .

**На полгода:**

съ января или съ 1 іюля . . . . . . . . . 4 —

**На девять мѣсяцевъ:**

съ 1 апрѣля . . . . . . . . . . . . . 6 —

**На годъ:**

съ 1 января . . . . . . . . . . . . . 8 —

**На иные сроки подписка не принимается.**

ПРИМѢЧАНІЕ. Подписка на «Приложеніе Романовъ» къ газетѣ «СВѢТЪ» принимается лишь одновременно и нераздѣльно съ газетою на одинъ и тотъ же срокъ. Лица, выписавшія одну газету, могутъ получить впослѣдствіи «Приложеніе Романовъ» не иначе, какъ выписавъ новый экземпляръ газеты съ «Приложеніемъ».

**Адресъ Редакціи: спб. Невскій, 138.**

Редакторъ-Издатель **В. В. Комаровъ.**

# РОССІЯ

## ГАЗЕТА ПОЛИТИЧЕСКАЯ и ЛИТЕРАТУРНАЯ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА на ГАЗЕТУ **„РОССІЯ“**

| | съ пересылкою въ россія р. | к. | съ пересылкою за границ. р. | к. | | съ пересылкою въ россія р. | к. | съ пересылкою за границ. р. | к. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| На годъ . . . | 12 | — | 24 | — | На 6 мѣсяц. . . | 6 | 60 | 13 | 20 |
| » 11 мѣсяц. . | 11 | 10 | 22 | 20 | » 5 » . . | 5 | 70 | 11 | 40 |
| » 10 » . . | 10 | 20 | 20 | 40 | » 4 » . . | 4 | 80 | 9 | 60 |
| » 9 » . . | 9 | 30 | 18 | 60 | » 3 » . . | 3 | 90 | 7 | 80 |
| » 8 » . . | 8 | 40 | 16 | 80 | » 2 » . . | 3 | — | 6 | — |
| » 7 » . . | 7 | 50 | 15 | — | » 1 » . . | 1 | 60 | 3 | 20 |

**ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ:**

Въ С.-Петербургѣ, въ главной конторѣ газеты «Россія» (Невскій № 86).

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ: для служащихъ по третямъ чрезъ ихъ казначеевъ; неслужащіе же могутъ обращаться съ своим заявленями въ С. Петербургѣ (Невскій № 86).

За перемѣну адреса уплачивается 40 коп. Отдельные нумера газеты «Россія» продается по 6 коп.

**ПРІЕМЪ И ПЕЧАТАНІЕ ОБЪЯВЛЕНІИ:**

Плата за объявленіе: впереди текста за каждую строку петита по 50 к., позади текста по 25 коп. Контора газеты открыта ежедневно съ 10 ч. до 6 часовъ пополудни: редакція газеты открыта съ 1 часу пополудни до 1[illegible] часовъ вечера. Редакторъ принимаетъ для личныхъ объясненій ежедневно от 2 до 5 часовъ пополудни.

Доставляемыя въ редакцію статьи должны быть за подписью и съ адресомъ автора, безъ чего онѣ печатаемы не будутъ. Статьи, доставляемы безъ обозначенія условій, оплачиваются по усмотрѣнію редакціи. Рукописи не возвращаются.

**ЗАВѢДУЮТЪ ОТДѢЛАМИ:**

1) Финансовымъ, экономическимъ, земскимъ и крестьянскимъ: I. П. Сазоновъ,
2) Литературнымъ и политическимъ: А. В. Амфитеатровъ.
3) Научнымъ: профессоръ Г. И. Ковалевскій, dr. И. Л. Янушкевичъ.
4) Внутреннихъ вопросовъ: М. П. Петровъ.
5) Иностраннымъ: Л. Ю. Гольштейнъ.
6) Музыкальнымъ: профессоръ Н. Ѳ. Соловьевъ и Я. А. Рубинштейнъ.
7) Художественнымъ: И. Ф. Перфирьевъ.
8) Хроники: А. Н. Черный.
9) Провинціальной хроники: М. В. Головинскій.
10) Театральной хроники: Ю. Д. Бѣляевъ.
11) Московскимъ: В. А. Гиляровскій.

Общественный фельетонъ—по воскресеньямъ—Old Gentleman.

Провинціальный фельетонъ—по субботамъ—В. М. Дорошевичъ.

По средамъ печатается «Милліонеръ» повѣсть В. Г. Авсѣенко.

Постоянный корреспондентъ въ Парижѣ: А. П. Плетневъ.

Корреспондентъ въ специальной командировкѣ по недороднымъ мѣстностямъ Сергѣй Печоринъ (С. А. Сафоновъ).

Постоянные собственные корреспонденты въ Вѣнѣ, Львовѣ, Варшавѣ, Софіи, Константинополѣ, Одессѣ и т.

(8—7)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Юня 1899 г. (სტ. „ცნ. ფურც.“-ს სტამბა), რედაქტორ-გამომცემელი ბ. ბუ